განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ლელა ჯაში
წევრ(ებ)ი: საგნობრი ექსპერტები
ირმა ავალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
თეონა შუბლაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
თაია მამარდაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ეთერი ივანელაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ირინე ჯანაშია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ირინე შარაბიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☒ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	*სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმი*
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	*საჯარო სამართლის იურიდიულ პირი*
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	*212922612*

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	• *ქ. ქუთაისი* • *ქ. თბილისი*
ფაქტობრივი მისამართი	• *ავტომშენებლის N51 (გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო სკოლა);* • *გარდაბანი, სოფელი კრწანისი, თბილისის ყოფილი ზოოვეტერინალური ინსტიტუტი (გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის კადეტთა სამხედრო სკოლა);*
საფოსტო ინდექსი	• *4600*

	• *1300*
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	*www.cadet.mod.gov.ge*
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	*cml@mod.gov.ge*
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	*სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ ბრძანება MES 4 26 0000516748, 01/05/2026წ. - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ვიზიტის შესახებ“.*
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	*01 ივნისი, 2026წ.*

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)

საგაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საგაზო საფეხური*	*ქართული ენა*	*გარდაბანი, სოფელი კრწანისი, თბილისის ყოფილი ზოოვეტერინალური ინსტიტუტი (გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის კადეტთა სამხედრო სკოლა);*
საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საშუალო საფეხური*	*ქართული ენა*	*გარდაბანი, სოფელი კრწანისი, თბილისის ყოფილი ზოოვეტერინალური ინსტიტუტი (გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის კადეტთა სამხედრო სკოლა);*

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ ბრძანების MES 4 26 0000516748, 01/05/2026წ. - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ვიზიტის შესახებ“ საფუძველზე მიმდინარე წლის 1 ივნისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმი (შემდგომში ლიცეუმი, სკოლა, დაწესებულება). ექსპერტების ჯგუფს დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს № 515 ბრძანებით დაარსდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, რომელსაც საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 15 სექტემბრის №72 ბრძანებით მიენიჭა გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელი. საქართველო თავდაცვის მინისტრის 2026 წლის 16 თებერვლის N7 ბრძანების ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №515 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” საფუძველზე, დაფუძნდა სამხედრო მომზადებისა და განათლების განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება – საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, რომლის სტრუქტურულ ერთეულებად

განისაზღვრა კადეტთა სამხედრო სკოლები: გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო სკოლა და გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის კადეტთა სამხედრო სკოლა (მე-3 მუხლი, ,,დ", ,,დ.ა" და ,,დ.ბ" პუნქტი). სსიპ კადეტთა სამხედრო ლიცეუმის შექმნის შედეგად ჩამოყალიბდა ერთიანი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენს ორი სკოლა. აღნიშნულთაგან ერთ-ერთი სკოლა უკვე ავტორიზებულია და მისი საქმიანობა სრულ შესაბამისობაშია მოქმედ საგანმანათლებლო სტანდარტებთან, ავტორიზაციის პირობებთან და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან. ლიცეუმში დანერგილია ერთიანი მართვის, ხარისხის უზრუნველყოფისა და დოკუმენტბრუნვის სისტემა, რის გამოც ორივე სტრუქტურულ ერთეულში მოქმედი რეგულაციები, შიდა პროცედურები, წესები და მექანიზმები იდენტურად განხორციელდება. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ შეფასებისას განხილული იქნება ის რეგულაციები და პრაქტიკა, რომლებიც უკვე აპრობირებული, დანერგილი და ეფექტიანად ფუნქციონირებს ავტორიზებულ სკოლაში. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ახალი სტრუქტურული ერთეული ამ ეტაპზე სრულად არ არის დაკომპლექტებული პედაგოგიური პერსონალით, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და ხარისხის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას განახორციელებენ ავტორიზებული სკოლის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები და ადმინისტრაციული პერსონალი. აღნიშნული უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის უწყვეტობას, ხარისხის სტანდარტების დაცვასა და ორივე სტრუქტურულ ერთეულში ერთიანი საგანმანათლებლო პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას.

სსიპ კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორის ბრძანების MOD 9 26 000000025, 26.02.2026წ. ,,სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის სახელის ცვლილების შესახებ" საფუძველზე, ლიცეუმში მოქმედ შრომით ხელშეკრულებებში, წესებში, ბრძანებებში, აქტებში, ოქმებში, ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებში განისაზღვრა - სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის სახელწოდების ნაცვლად, იკითხებოდეს სსიპ კადეტთა სამხედრო ლიცეუმი.

დასკვნის შემუშავებისა და სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების პროცესში ექსპერტებმა იხელმძღვანელეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწესებულებაში გარკვეულ ფუნქციებს ახორციელებს მისი დამფუძნებელი - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. როგორც ცნობილია, საგანმანათლებლო სფეროში მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების ცალკეული პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაზე, რომელიც სასწავლო პროცესის ფარგლებში სამხედრო მომზადებას უზრუნველყოფს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისობის შეფასება განხორციელდა როგორც ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი საერთო სამართლებრივი მოთხოვნების, ისე, სამხედრო მომზადების კომპონენტის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის დადგენილი სპეციალური სამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
330	**214**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმი წარმოადგენს საქართველოში გამორჩეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც აკადემიურ განათლებასთან ერთად უზრუნველყოფს მოსწავლეების სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას, ლიდერული უნარების განვითარებას, ამკვიდრებს დისციპლინის მაღალ სტანდარტებს. დაწესებულებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გუნდურ მუშაობას, ფიზიკურ მომზადებას, მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლებასა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარებას. ლიცეუმი კადეტებს სთავაზობს მრავალმხრივ საგანმანათლებლო და მხარდამჭერ სერვისებს, მათ შორის, სრულ პანსიონურ მომსახურებას, უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოს, სამედიცინო მომსახურებას და სადაზღვევო პაკეტს, სრულფასოვან კვებას, სასწავლო რესურსებსა და საჭირო აღჭურვილობას.

სკოლის საუკეთესო გამოცდილებად შესაძლებელია განხილულ იქნას დაწესებულებაში დანერგილი სისტემა, რომელიც ყოველწლიურად ავლენს სხვადასხვა კატეგორიის ლიდერებს: აკადემიურ და პროფესიულ ჭრილში გამოვლინდება „წლის საუკეთესო მასწავლებელი“, „წლის საუკეთესო ინსტრუქტორი“ და „წლის საუკეთესო კათედრა“, რაც ამაღლებს პერსონალის პროფესიულ მოტივაციას და პირდაპირ აისახება სწავლების ხარისხზე. ინდივიდუალური და გუნდური მიღწევების მიმართულებით, ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველსაყოფად ფასდება როგორც ინდივიდუალური დამსახურებები („საუკეთესო კადეტი“, „საუკეთესო აკადემიური მოსწრება“, „საუკეთესო ფიზიკური მომზადება“, „საუკეთესო მსროლელი“), ისე კოლექტიური ერთიანობა („წლის საუკეთესო ჯგუფი“).
აღნიშნული კომპლექსური მიდგომა ხელს უწყობს არა მხოლოდ ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა და ლიდერული თვისებების განვითარებას, არამედ აძლიერებს გუნდურობის პრინციპს. თეორიული სწავლების, საველე პრაქტიკისა და ამგვარი შიდა წამახალისებელი მექანიზმების ერთობლიობა ქმნის ჯანსაღ და მამოტივირებულ გარემოს ეროვნული ფასეულობების მქონე მომავალი სამხედრო და სამოქალაქო ლიდერების აღსაზრდელად.

სრულიად უნიკალურია სკოლის ინფრასტრუქტურა. მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტის პერიოდში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის კადეტთა სამხედრო სკოლის მოწყობის სამუშაოები ბოლომდე არ იყო დასრულებული, არსებული მოცემულობა იძლეოდა საშუალებას ექსპერტებს შეეფასებინათ სკოლის ინფრასტრუქტურული პოტენციალი, კომპლექსის საერთო კონცეფცია. სასწავლო დაწესებულება განთავსებულია მასშტაბურ, ეკოლოგიურად სუფთა და მწვანე რეკრეაციულ ზონაში, რომელიც სრულად პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო და უსაფრთხოების სტანდარტებს. კომპლექსი მოიცავს მრავალფუნქციურ ინფრასტრუქტურას, სადაც მაღალი სტანდარტების, კეთილმოწყობილი კადეტთა საცხოვრებელი კორპუსი და სასწავლო და მოსასვენებელი სივრცეებია. საკლასო ოთახების აღჭურვა განხორციელდება უახლესი სმარტ-დაფებითა და ციფრული ტექნიკით. აღნიშნული მულტიმედიური გარემო, ინტეგრირებულ გათბობა-გაგრილების ცენტრალიზებულ სისტემასთან ერთად, მკვეთრად გაზრდის მოსწავლეთა კონცენტრაციის უნარსა და საგაკვეთილო პროცესის დინამიკას. სპეციალიზებული სამეცნიერო ლაბორატორიები კადეტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის შესაძლებლობას მისცემს.

სამხედრო-სასწავლო რეჟიმის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპლექსში არსებული შიდა (დახურული) და გარე (ღია) სპორტული სივრცეები, ისევე როგორც თანამედროვე სატრენაჟორო დარბაზები, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კადეტთა ფიზიკური დისციპლინის განმტკიცებაში. ეს ბაზა უზრუნველყოფს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და სავალდებულო ფიზიკური ნორმატივების წარმატებით დაძლევას. ამავდროულად, უზარმაზარი გამწვანებული ტერიტორია და სპეციალურად მოწყობილი შიდა და გარე მოსასვენებელი სივრცეები მნიშვნელოვნად ამცირებს სასწავლო სტრესსა და გონებრივ გადაღლილობას. ცალკე გამოყოფილი გასართობი პავილიონი ხელს შეუწყობს კადეტთა შორის არაფორმალურ კომუნიკაციას, სტრატეგიული აზროვნების განვითარებასა და გუნდური სულისკვეთების ჩამოყალიბებას.

საბოლოო ჯამში, უახლესი მატერიალური რესურსებისა და ეკოლოგიური გარემოს ერთიანობა შექმნის უსაფრთხო, მაღალტექნოლოგიურ და მამოტივირებელ საგანმანათლებლო სისტემას, რომელიც ხელს შეუწყობს კადეტთა ჰარმონიულ აკადემიურ, ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

სასწავლო დაწესებულებაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება არაფორმალური განათლების განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიური პროგრესისა და თანამედროვე მოთხოვნების ურუნველსაყოფად საგანმანათლებლო პროგრამაში დამატებით სავალდებულო საგნებად ინტეგრირებულია რობოტექნიკა, ელექტრონიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები. აღნიშნული საგნების სავალდებულო შესწავლა ხელს უწყობს კადეტებში STEM მიმართულების უნარებისა განვითარებას. პარალელურად, არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის პროდუქტიულად მართვის მიზნით, ლიცეუმში ფუნქციონირებს კლუბების სისტემა. კერძოდ, სპორტული კლუბები ორიენტირებულია კადეტთა ფიზიკურ განვითარებაზე და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაზე. ინტელექტუალური და შემეცნებითი კლუბები (მათ შორის, ჭადრაკის კლუბი) ემსახურება სტრატეგიული, ანალიტიკური და ლოგიკური

აზროვნების სტიმულირებას. კულტურულ-შემოქმედებითი კლუბები ხელს უწყობს ესთეტიკურ აღზრდას, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემასა და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას. კურიკულუმით გათვალისწინებული მკაცრი აკადემიური დისციპლინებისა და ამგვარი არაფორმალური კლუბური აქტივობების სინთეზი უზრუნველყოფს კადეტთა ჰარმონიულ ინტელექტუალურ, ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

TOEFL-ისა და SAT-ის პროგრამების ფარგლებში, ლიცეუმი კადეტებს სთავაზობს უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებელ, სპეციალიზებულ და მაღალკვალიფიციურ მოსამზადებელ კურსებს. გარდა ამისა, სკოლას თითქმის ყოველ წელს ჰყავს FLEX პროგრამის გამარჯვებული, რაც მოსწავლეების მაღალი აკადემიური დონისა და საერთაშორისო შესაძლებლობებისთვის მზაობის მაჩვენებელია.

ლიცეუმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პედაგოგთა შრომის დაფასებასა და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვას. ამ მიზნით, დაწესებულება მასწავლებლებს უზრუნველყოფს ჯანმრთელობის სადაზღვევო პაკეტით, რომელიც ვრცელდება როგორც თავად პედაგოგზე, ასევე მათ ოჯახის წევრებზე. აღნიშნული სერვისი თანამშრომლებისთვის უფასოა და წარმოადგენს სკოლის მიერ შეთავაზებული სოციალური მხარდაჭერის მნიშვნელოვან მექანიზმს, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ კმაყოფილებასა და სოციალური უსაფრთხოების განმტკიცებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებულმა ინტერვიუებმა კადეტებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან დაწესებულების მიმართ მაღალი კმაყოფილება გამოავლინა, რაც განპირობებულია უსაფრთხო გარემოთი, მაღალი დისციპლინით, სრულყოფილი ინფრასტრუქტურით, მრავალფეროვანი აქტივობებითა და მასწავლებელ/ინსტრუქტორების მხრიდან არსებული მხარდამჭერი ურთიერთობით. საბოლოო ჯამში გამოკითხვამ დაადასტურა, რომ ლიცეუმის სასწავლო გარემო სრულად შეესაბამება როგორც კადეტების, ისე მათი ოჯახების მოლოდინებს - სამხედრო დისციპლინისა და მაღალი საგანმანათლებლო სტანდარტების სინთეზი, ექსპერტების აზრით, ლიცეუმის მთავარ ინსტიტუციურ მიღწევას წარმოადგენს.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა დასკვნის პროექტში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა რიგ ინდიკატორებთან დაკავშირებით.

კერძოდ, ინდიკატორები N2.2.2.3, N2.2.2.4, N3.1.2.3, N3.1.2.4, N3.4.1.1, N3.4.1.2, N3.4.1.5, N3.5.1.1, N3.5.1.3, N3.5.1.4, N3.6.1.1 რომელიც შეფასებული იყო უარყოფითად, შესაბამისობის გეგმის საფუძველზე შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შტატით გათვალისწინებული თანამშრომლების დასაქმება და მათი პირადი საქმეების კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაშ მოყვანა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს როგორც პედაგოგების, ისე, საშტატო განრიგით განსაზღვრული გარკვეული პერსონალის დასაქმება ლიცეუმში სკოლის მიერ შედგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, ასევე, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის მოწყობა, ასევე, სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობების დასაქმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა.*

ინდიკატორი N3.4.1.5	*სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობის პროცესი, რაც უზრუნველყოფს ლიცეუმში სანიტარულ ჰიგიენური ნორმების სრულ დაცვას, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს ავეჯით და შესაბამისი ინვენტარით შენობის აღჭურვა, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N3.5.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის ბიბლიოთეკის მოწყობა და შევსება სასკოლო სახელმძღვანელოებით, მათ შორის, კლასგარეშე და მხატვრული ლიტერატურით, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურით, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს ადაპტირებული გარემოს მოწყობა, რათა შესაძლებელი იყოს სართულებს შორის (II და III) გადაადგილება შშმ პირებისათვის, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N3.6.1.1	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია - უზრუნველყოს ლიცეუმის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამართვის პროცესი, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საგაზო საფეხური*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო*

	უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*ლაბორატორიის მოწყობა და აღჭურვა მატერიალური რესურსით და ინვენტარით, ასევე, წყალმომარაგების მოწყობის პროცესი, შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს მასწავლებელთა შერჩევის და დაკომპლექტების პროცესის დასრულება, შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა.*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საშუალო საფეხური*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და აღჭურვა მატერიალური რესურსით და ინვენტარით, ასევე, წყალმომარაგების მოწყობის პროცესი, შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს მასწავლებელთა შერჩევის და დაკომპლექტების პროცესის დასრულება, შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა.*

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*რჩევა*

	(საგაზო საფეხური)	
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოების ქვეშ მითითებული იყოს კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება დეტალური სახით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს შეფასების კრიტერიუმები გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია, გეოგრაფიის კურიკულუმებში შემოქმედებით დავალებად გაწერილი იყოს ყველა და მკაფიოდ ჩანდეს შემოქმედებითი დავალების პირობა, რომელიც მორგებული იქნება მოსწალეთა ინტერესებზე და აღძრავს მათ შემოქმედებითობისაკენ. თითოეულ თემაში უნდა ჩანდეს რითი ჯამდება, რას ქმნიან მოსწავლეები. მკაფიოდ მიეთითოს თუ რა უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ ცნებებთან მიმართებაში. მოცემულ კურიკულუმში შემოქმედებით დავალებად წარმოდგენილი იყო ტესტი.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია, თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება (VII კლასის მოქალაქეობის კურიკულუმი);* *სასურველია, კათედრაზე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემუშავდეს ერთი ფორმა კურიკულუმის, რომელიც მარტივად წასაკითხი, აღსაქმელი და დასანერგი იქნება სამუშაო პროცესში. აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი გრძელვადიანი მიზნები (ცნებები) და შესაბამისი დავალების იდეა/პირობა.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია, მეორე უცხოური ენის (ფრანგული, რუსული) საგაზო საფეხურის კურიკულუმებში იხელმძღვანელოთ განახლებული საგნობრივი სტადარტით.*

		ესთეტიკური აღზრდა *- სასურველია, ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას, კათედრის წევრების მიერ გადაიხედოს წარმოდეგენილი კურიკულუმის სარეკომენდაციო ჩარჩო, განიხილონ და შეიმუშაონ კურიკულუმის ახალი ფორმა.* *სასურველია ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას, ესთეტიკური აღზრდის საგნებში(ხელოვნება მუსიკა) კათედრის წევრებმა განიხილონ და აირჩიონ საბაზო საფეხურის(მე-7, მე-8, მე-9) სწავლებისთვის ძირითადი სასწავლო გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, რომლის მიხედვითაც დაგეგმავენ ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებს.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, საკლუბო მუშაობის, კონფერენციის, კვლევის დროს შექმნილი მასალები გადაირჩეს, შეფასდეს გამოყენებადი სასწავლო რესურსების კუთხით და აისახოს კურიკულუმის ჩარჩოებში.*
ინდიკატორი N2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში აისახოს მასწავლებელთა მიერ მოდიფიცირებული აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო სტრატეგიების მრავალფეროვნებას და აამაღლებს სწავლების ხარისხს.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია, კათედრამ განახორციელოს უფრო მრავალფეროვანი კლასგარეშე, არაფორმალური აქტივობები, რაც დაეხმარება კადეტებს მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი.*
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია, მითითებულ იქნას ძირითადი სახელმძღვანელოს სრული დასახელება გამომცემლობა, ავტორები. შესაბამისობაში უნდა იყოს იმ რესურსებთან რასაც ვამუშავებთ.*

		ესთეტიკური აღზრდა *- სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო რესურსების ველი იყოს სრულყოფილად შევსებული. თითოეული თემის ფარგლებში დეტალურად იყოს ჩაშლილი დამხმარ სასწავლო რესურსები, რომელსაც მასწავლებელი იყენებს სწავლების პროცესში.*
ინდიკატორი N2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია, ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას კათედრამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს დამხმარე სასწავლო რესურსების დოკუმენტი სასწავლო რესურსის შერჩევის პრინციპით და ვალიდაციისათვის დადგენილი სქემით.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოების ქვეშ მითითებული იყოს კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება დეტალური სახით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს შეფასების კრიტერიუმები გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია, XI კლასის საქ. ისტორიისა და გეოგრაფიის კურიკულუმებში შემოქმედებით დავალებად გაწერილი იყოს ყველა და მკაფიოდ ჩანდეს შემოქმედებითი დავალების პირობა, რომელიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე და აღძრავს მათ შემოქმედებითობისაკენ. თითოეულ თემაში უნდა ჩანდეს რითი ჯამდება, რას ქმნიან მოსწავლეები. მკაფიოდ მიეთითოს თუ რა უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ ცნებებთან მიმართებაში. მოცემულ კურიკულუმში შემოქმედებიტ დავალებად წარმოდგენილი იყო ტესტი.*

ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია, კათედრაზე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემუშავდეს ერთი ფორმა კურიკულუმის, რომელიც მარტივად წასაკითხი, აღსაქმელი და დასანერგი იქნება სამუშაო პროცესში. აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი გრძელვადიანი მიზნები(ცნებები) და შესაბამისი დავალების იდეა/პირობა.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, საკლუბო მუშაობის, კონფერენციის, კვლევის დროს შექმნილი მასალები გადაირჩეს, შეფასდეს გამოყენებადი სასწავლო რესურსების კუთხით და აისახოს კურიკულუმის ჩარჩოებში.*
ინდიკატორი N2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში აისახოს მასწავლებელთა მიერ მოდიფიცირებული აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო სტრატეგიების მრავალფეროვნებას და აამაღლებს სწავლების ხარისხს.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია, კათედრამ განახორციელოს უფრო მრავალფეროვანი კლასგარეშე, არაფორმალური აქტივობები, რაც დაეხმარება კადეტებს მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი.*
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია, მითითებულ იქნას ძირითადი სახელმძღვანელოს სრული დასახელება გამომცემლობა, ავტორები. შესაბამისობაში უნდა იყოს იმ რესურსებთან რასაც ვამუშავებთ.* ***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო რესურსების ველი იყოს სრულყოფილად შევსებული. თითოეული თემის ფარგლებში დეტალურად იყოს ჩაშლილი დამხმარ*

		სასწავლო რესურსები, რომელსაც მასწავლებელი იყენებს სწავლების პროცესში.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

ინდიკატორი	წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები	შესრულების სტატუსი
N3.1.2.3	ლიცეუმში დასაქმებულ პირთა პირად საქმეებში, წარმოდგენილ იქნას ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისი ცნობები - უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ	ვიზიტის პერიოდში კონკურსის წესით შერჩეულ პედაგოგებთან ჯერ არ იყო გაფორმებული შრომითი ხელშეკრულები, შესაბამისად, ექსპერტებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი მათი პირადი საქმეები და ვერ დადგინდა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციასთან შესაბამისობა

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანების №515, 02.08.2010წ. ,,თბილისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის–კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ" საფუძველზე (მე-4 მუხლი, ,,ვ" პუნქტი), დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულ პირთა თანამდებობები და რაოდენობა. კერძოდ, მმართველი რგოლი, რომლის შემადგენლობაშია სკოლის მეთაური, მეთაურის მოადგილე, მთავარი სერჟანტი, სამხედრო მოძღვარი (კაპელანი), ფსიქოლოგი. სასწავლო განყოფილება - განყოფილების უფროსი, განყოფილების ოფიცერი, განყოფილების სერჟანტი, სასწავლო დაგეგმარების სპეციალისტი, მასწავლებელი (სასწავლო ჯგუფის დამრიგებელი), მასწავლებელი ესთეტიკური აღზრდის ხელმძღვანელი - კლუბის უფროსი, უფროსი ლაბორანტი, ლაბორანტი. ასევე, ლოჯისტიკური უზრუნველყოფის განყოფილება, უზრუნველყოფის ჯგუფი, სატრანსპორტო ჯგუფი, ლაზარეთის ექიმები და ექთნები, სასწავლო კურსების ინსტრუქტორები და ოფიცრები. სკოლის სტრუქტურა განსაზღვრავს სკოლის იერარქიულ დაქვემდებარებას და სქემატურად არის გამოსახული. ლიცეუმის თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული დასაქმებულების ფუნქცია-მოვალეობები. სკოლას შედგენილი აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები. ლიცეუმში ფუნქციონირებს: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, კადეტთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, სააპელაციო კომიტეტი (საჭიროების შემთხვევაში).

სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია ლიცეუმის წესდებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

   სკოლის სტრუქტურული ერთეულები და პერსონალი შერჩეულია ლიცეუმის საჭიროებებიდან გამომდინარე. ფუნქცია-მოვალეობების სწორი და ზუსტი განაწილება უზრუნველყოფს დაწესებულების ეფექტიან ფუნქციონირებას. სკოლის მოქმედი სტრუქტურული ერთეულები ხელს უწყობენ სწავლა-სწავლების პროცესის კანონით დადგენილი წესით წარმართვას. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი კარგად იცნობენ საკუთარ ფუნქციებს და ჯეროვნად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება №515, 02.08.2010წ. ,,თბილისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის–კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ";
- საშტატო განრიგი;
- ლიცეუმში დასაქმებული პირების ფუნქცია მოვალეობები;
- შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმს, 2017 წლის 27 აპრილის სამეურვეო საბჭოს N14 ოქმით, დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის დანიშნულებაა საკადრო პოლიტიკის განხორციელება, თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება, საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლისათვის ხელშეკრულების შეწყვეტა, დისციპლინური კომიტეტის არჩევა, სხვა კომიტეტებისა და კომისიების შექმნა, საჩივრების განხილვა და შესაბამისი ზომების მიღება. დოკუმენტი შეიცავს ინფორმაციას ისეთი საკითხების შესახებ, როგორიც არის: ახალი საშტატო ერთეულის საჭიროების განსაზღვრა და ანალიზი, თანამშრომელთა შერჩევის პროცესი, თანამშრომელთა შეფასების პოლიტიკა და პროცედურები, მასწავლებლების მოზიდვა და შენარჩუნება. ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ პედაგოგთა ანაზღაურება დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, შედარებით მაღალია, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ მოტივაციას. ლიცეუმი გამოირჩევა კეთილმოწყობილი და კომფორტული სამუშაო გარემოთი. პედაგოგები უზრუნველყოფილნი არიან თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, რაც ხელს უწყობს სასწავლო და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებას. სამასწავლებლოში მოწყობილია სამზარეულო და მოსასვენებელი სივრცე, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს თანამშრომელთა კეთილდღეობისა და პროფესიული საქმიანობისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

როგორც უკვე აღინიშნა, სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, განსაზღვრავს დაწესებულებაში დასაქმებული პირების ფუნქცია მოვალეობებს. სკოლას შედგენილი აქვს თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციებიც. შესაბამისად, დაწესებულების მიერ შერჩეული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესები პროგნოზირებადია. სკოლის წესდება და შინაგანაწესი და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ინტერვენციებს, რაც პერსონალის მართვის პროცესში იჩენს თავს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სსიპ კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მასწავლებლის თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებისა და თანამდებობის დაკავების წესი (MOD 7 26 00000032, 02.03.2026წ.). დოკუმენტი განსაზღვრავს მასწავლებლის თანამდებობის დაკავებისათვის ღია კონკურსის წესს, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ თავსდება ლიცეუმის ელექტრონულ გვერდზე, საჯარო სივრცესა და ლიცეუმის ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე, დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. ექსპერტების ვიზიტის პერიოდში, ლიცეუმს გამოცხადებული ჰქონდა მასწავლებლის შერჩევის მიზნით ვაკანსიები, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას საკვალიფიკაციო მოთხოვნების თაობაზე და განთავსებული იყო როგორც https://teacherjobs.ge/, ასევე, ლიცეუმის ვებ. გვერდზე. სხვა თანამშრომლების შერჩევა ხორციელდება სკოლის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. ვიზიტის დროს ექსპერტებმა განიხილეს საკონკურსო მასალა და დაადგინეს შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

ვინაიდან, ვიზიტის დროს პირველ ეტაპზე შერჩეულ მასწავლებლებთან (სულ 16), არ იყო გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, მათი პირადი საქმეები არ იყო ხელმისაწვდომი ექპერტებისთვის, შესაბამისად, *ვერ დადგინდა პერსონალის პირადი საქმეები შეიცავდა თუ არა ცნობებს ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. ასევე, ვაკანტური იყო ლიცეუმის საშტატო განრიგით განსაზღვრული სხვა პოზიციებიც.*

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ლიცეუმმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.3 ინდიკატორთან დაკავშირებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული აქვს 2026 წლის 1 სექტემბერი. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს შტატით გათვალისწინებული თანამშრომლების დასაქმება და მათი პირადი საქმეების კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. კერძოდ, სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული პირების პირადი საქმეები უნდა მოიცავდეს ცნობებს ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

ვინაიდან, ვიზიტის პერიოდში ლიცეუმში ვაკანტური იყო როგორც პედაგოგების, ისე, საშტატო განრიგით განსაზღვრული გარკვეული პერსონალის პოზიციები, ექსპერტებმა ვერ დაადგინეს შეესაბამება თუ არა სკოლაში დასაქმებული პირების კვალიფიკაცია დაწესებულების მიერ შედგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მოქმედ კანონმდებლობას.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ლიცეუმმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.4 ინდიკატორთან დაკავშირებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული აქვს 2026 წლის 1 სექტემბერი. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს როგორც პედაგოგების, ისე, საშტატო განრიგით განსაზღვრული გარკვეული პერსონალის დასაქმება ლიცეუმში სკოლის მიერ შედგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ლიცეუმში გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად არ ხდება. პროცესები შეჯერებულია და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს - აღნიშნულზე მეტყველებს სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმები, სტრუქტურული ერთეულების შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

როგორც გაირკვა, წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება, ლიცეუმის მხრიდან რეგულარულად ხორციელდება. შინაგანაწესით განსაზღვრულია მასწავლებელთა და თანამშრომელთა წახალისების ზომები: მადლობა პირად საქმეში შეტანით, ფასიანი საჩუქარი, ფულადი პრემია, საპატიო სიგელის გადაცემა და ა.შ. როგორც უკვე აღინიშნა, ლიცეუმის მიერ ყოველწლიურად ჩატარებულია და გამოვლენილი - „წლის საუკეთესო მასწავლებელი“, „წლის საუკეთესო ინსტრუქტორი“ და „წლის საუკეთესო კათედრა“, ამაღლებს პერსონალის პროფესიულ მოტივაციას და პირდაპირ აისახება სწავლა-სწავლების ხარისხზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებისა და თანამდებობის დაკავების წესი (MOD 7 26 00000032, 02.03.2026წ.);
- საკონკურსო დოკუმენტაცია;
- სსიპ კადეტთა სამხედრო ლიცეუმის შინაგანაწესი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

ლიცეუმის ტერიტორიაზე უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სამხედრო პოლიცია და სამხედრო ინსტრუქტორები. სკოლის მთელ პერიმეტრზე დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები. როგორც სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, შესასვლელში დამონტაჟდება სკანერი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სამხედრო პოლიცია. შენობაში მოწყობილია ვიდეომონიტორინგის ოთახი, სადაც უწყვეტ რეჟიმში, სკოლის ორი თანამშრომელი გააკონტროლებს ლოცეუმის როგორც შიდა, ისე, გარე პერიმეტრს. ***<u>დაწესებულებას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ექსპერტთა მხრიდან გაიცა რჩევა, აღნიშნული კადრის სკოლაში დასაქმების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით (რჩევა).</u>***

როგორც ლიცეუმის მიმდინარე წლის 19 მაისის MOD 2 26 00679530 წერილიდან ირკვევა, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმასთან დაკავშირებით კომუნიკაცია შედგა შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრთან (112) , რომლებიც ლიცეუმში არსებული ტექნიკური სამუშაოების დამთავრებისთანავე უზრუნველყოფენ სათანადო დოკუმენტაციის მოწოდებას. რაც შეეხება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას, აღნიშნულ საკითხზე სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმმა სკოლის შენობა-ნაგებობების მდგრადობის განსაზღვრის შესახებ 2026 წლის 14 მაისს წერილობით მიმართა საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურს და უმოკლეს ვადებში მოხდება აღნიშნული დოკუმენტის მომზადება. ***<u>შესაბამისად, ლიცეუმს არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.</u>*** მიმდინარე წლის 2 ივნისს, ლიცეუმმა წერილობით მიმართა სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს და მოითხოვა შენობა ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება.

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ლიცეუმმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1 ინდიკატორთან დაკავშირებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული აქვს 2026 წლის 1 სექტემბერი. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, ასევე, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის</u>

<u>უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

ლიცეუმში იგეგმება ლაზარეთის მოწყობა. საშტატო განრიგით ლაზარეთში განსაზღვრული იქნება ლაზარეთის უფროსი ექიმი-სპეციალისტი, ექიმი-სპეციალისტი, უფროსი ექთანი, საპროცედუროს ექთანი, მორიგე ექთანი, სამედიცინო ქონების აღმრიცხველი და სანიტარი. ლაზარეთში კადეტებს ჩაუტარდებათ პირველადი სამედიცინო დახმარება, იქნებიან ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეები ჯანმრთელობის გაუმჯობესებამდე განთავსდებიან პალატებში. ვიზიტის პერიოდში, *<u>ექიმის კაბინეტი არ იყო მოწყობილი. ასევე, სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობები იყო ვაკანტური.</u>* რაც შეეხება სამედიცინო ინვენტარს, ექსპერტის მიერ განხილულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემა https://tenders.procurement.gov.ge/, რომელიც წარმოადგენს საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის ოფიციალურ პორტალს. როგორც გაირკვა, სამედიცინო ინვენტარის შესყიდვის მიზნით ტენდერი გამოცხადებულია (NAT260011245) და მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები.
<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ლიცეუმმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.2 ინდიკატორთან დაკავშირებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული აქვს 2026 წლის 1 სექტემბერი. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის მოწყობა, ასევე, სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობების დასაქმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.</u>
ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სსიპ-კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მთავარი სერჟანტის ფუნქცია-მოვალეობაა ლიცეუმის ბაზაზე უსაფრთხოების დაცვის კონტროლი. ასევე, ლიცეუმის G-2/G-3 სასწავლო დაგეგმვისა და მონიტორინგის სამსახურის ოფიცრის ფუნქციონალური მოვალეობებს განეკუთვნება ლიცეუმის ტერიტორიაზე აკრძალული ნივთების ჩამონათვალის შემუშავებას და შეტანა-გატანის (მოძრაობის, შეზღუდვების) პერიოდულ მონიტორინგი, ლიცეუმის ტერიტორიაზე

არსებული დაცვის სისტემებისა და შენობა ნაგებობების უსაფრთხოების შემუშავება და ეტაპობრივი მონიტორინგი. როგორც უკვე აღინიშნა, ლიცეუმის ტერიტორიაზე შემოსვლას და გასვლას მონიტორინგს გაუწევს სახმედრო პოლიცია. საკონტროლო-გამშვები პუნქტი აღჭურვილი იქნება სპეციალური სკანერით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

ლიცეუმი ზრუნავს არა მარტო კადეტების ფიზიკურ უსაფრთხოებაზე, არამედ სასკოლო საზოგადოების ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებაზეც. ვინაიდან კადეტთა სამხედრო ლიცეუმში სწავლას აგრძელებენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საშუალო საფეხურის მოსწავლეები, მათ ახალ გარემოსთან და ახალ თანაკლასელებთან ადაპტაციისთვის სჭირდებათ გარკვეული პერიოდი. სწორედ ამიტომ, კლასის დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან, კურსის ოფიცრებთან და ინსტრუქტორებთან კოორდინაციით სადამრიგებლო საათის ფარგლებში გეგმავენ მხარდამჭერ ღონისძიებებს, ინდივიდუალურ კომუნიკაციასა და სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობას, რაც კადეტს ეხმარება ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხოდ, დაცულად და კომფორტულად იგრძნოს თავი. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ წარმოდგენილი კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ფსიქოლოგის სამუშაო გეგმა, საიდანაც გაირკვა, რომ ფსიქოლოგოს მიერ დაგეგმილი აქტივობები, მათ შორის არტთერაპია, ფსიქოთერაპიული სამუშაოები, დიაგნოსტიკა უზრუნველყოფს კადეტების ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგრადობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სსიპ-კადეტთა სამხედრო ლიცეუმის საშტატო განრიგით განსაზღვრულია 10 დამლაგებელი. როგორც ირკვევა, ისევე როგორც გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო სკოლის შემთხვევაში, გიორგი მაზნიაშვილის სახელობის კადეტთა სკოლაშიც დაგემილია შენობის ყოველდღიური დალაგება სველი წესით. თვეში ერთხელ განხორციელდება შენობების გენერალური დასუფთავება, ამისათვის გამოიყენება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებები. კვების ბლოკი და ლაზარეთი დაექვემდებარება ყოველდღიურ დასუფთავებას სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით. ***<u>სკოლაში განხორციელებული ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შენობა არ იყო უზრუნველყოფილი ცენტრალური</u>***

წყალმომარაგების სისტემით და არ იყო მოწყობილი საკანალიზაციო ინფრასტრუქტურა (მოწყობის სამუშაოები სრულდებოდა), შესაბამისად, ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა (ხარვეზი).

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ლიცეუმმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.5 ინდიკატორთან დაკავშირებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული აქვს 2026 წლის 1 სექტემბერი. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობის პროცესი, რაც უზრუნველყოფს ლიცეუმში სანიტარულ ჰიგიენური ნორმების სრულ დაცვას. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სსიპ-კადეტთა სამხედრო ლიცეუმს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის (ბრძანება MOD 1 25 00000172, 01.05.2025წ.). მაღალი სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ლიცეუმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დასაქმებულების, კადეტების და ზოგადად, მათთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირების პერსონალურ მონაცემთა დაცვას. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას, ლიცეუმი მოქმედებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა ნორმატიული აქტებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად. ლიცეუმს ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერიც. კადეტის მშობელთან /კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებაც ითვალისწინებს ლიცეუმის უფლებას - მოიპოვოს, დაამუშაოს, შეინახოს და გასცეს კადეტის პერსონალური მონაცემები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

როგორც უკვე აღინიშნა, ლიცეუმს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის (ბრძანება MOD 1 25 00000172, 01.05.2025წ.). სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ელექტრონულ პლატფორმაზე (Eschool) უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომისგან. სკოლის ელექტრონულ ჟურნალშიც მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური

მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექციას, საგნის მასწავლებლებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

დაწესებულება ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად,, და ბრძანებით დადგენილი წესით ახორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-კადეტთა სამხედრო ლიცეუმის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძანება MOD 1 25 00000172, 01.05.2025წ.);
- კადეტის მშობელთან /კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

   საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (დოკუმენტის მომზადების თარიღი - 30.04.2024წ., მოსარგებლე - საქართველოს თავდაცის სამინისტრო), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, რომლის სტრუქტურულ ერთეულად განისაზღვრა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის კადეტთა სამხედრო სკოლა - მდებარეობს გარდაბანში, სოფელ კრწანისში. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 192141.00 კვ. მ მიწის ფართობზე. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის პერიოდში სრულად იყო შეცვლილი სკოლის ინფრასტრუქტურა (მათ შორის, განხორციელდა შენობის გარკვეული ნაწილების დემონტაჟი). საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით აღნიშნული უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები) საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელზე და საგანმანათლებლო დაწესებულება ამონაწერში არ არის ასახული. გარდა ამისა, ლიცეუმის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ შენობის მოწყობისას გარკვეული ნაწილების დემონტაჟი განხორციელდა. ***<u>შესაბამისად, საჯარო რეესტრის ამონაწერში ასახული მონაცემები არ შეესაბამება ქონების ფაქტობრივ მდგომარეობას და არ ასახავს არსებულ რეალურ სურათს (ხარვეზი).</u>***

   როგორც უკვე აღინიშნა, სრულიად უნიკალურია სკოლის ინფრასტრუქტურა. მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტის პერიოდში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის კადეტთა სამხედრო სკოლის მოწყობის სამუშაოები ბოლომდე არ იყო დასრულებული, არსებული მოცემულობა იძლეოდა საშუალებას ექსპერტებს შეეფასებინათ სკოლის ინფრასტრუქტურული პოტენციალი, კომპლექსის საერთო კონცეფცია. სასწავლო დაწესებულება განთავსებულია

მასშტაბურ, ეკოლოგიურად სუფთა და მწვანე რეკრეაციულ ზონაში, რომელიც სრულად პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო და უსაფრთხოების სტანდარტებს. კომპლექსი მოიცავს მრავალფუნქციურ ინფრასტრუქტურას, სადაც მაღალი სტანდარტების, კეთილმოწყობილი კადეტთა საცხოვრებელი კორპუსი და სასწავლო და მოსასვენებელი სივრცეებია. საკლასო ოთახების აღჭურვა განხორციელდება უახლესი სმარტ-დაფებითა და ციფრული ტექნიკით. აღნიშნული მულტიმედიური გარემო, ინტეგრირებულ გათბობა-გაგრილების ცენტრალიზებულ სისტემასთან ერთად, მკვეთრად გაზრდის მოსწავლეთა კონცენტრაციის უნარსა და საგაკვეთილო პროცესის დინამიკას. სპეციალიზებული სამეცნიერო ლაბორატორიები კადეტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის შესაძლებლობას მისცემს.

სკოლის შენობა შედგება A, B, C, D, E ბლოკებისაგან, რომელთა შორის გადაადგილება შენობიდან გასვლის გარეშე არის შესაძლებელი, ასევე, ცალკე მდგომი პავილიონისგან, რომელიც მოსწავლეთა დასვენების, საკომუნიკაციო და გასართობ სივრცეს წარმოადგენს. სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენება C და D ბლოკი. B ბლოკი განკუთვნილია ადმინისტრაციისთვის, A ბლოკში სპორტული და სატრენაჟორო დარბაზებია, E - საცხოვრებელი ბლოკია. ყველა სართულზე განლაგებულია სველი წერტილები. სკოლაში 39 საკლასო ოთახია, ასევე, ლაბორატორიებისთვის განკუთვნილი სივრცეები, ბიბლიოთეკა, კათედრებისათვის განკუთვნილი ოთახები, სამასწავლებლო, სპორტული და სატრენაჟორო დარბაზი.

სკოლის ეზო გამწვანებულია და მოიცავს 3 გარე მოედანს, სატრენაჟორო სივრცეს, დაბრკოლებათა გადალახვის ზოლს, საქვაბეს, წლის ავზებს, მანქანების სადგომს, ასევე, მოწყობილია კადეტების შეკრებისთვის განკუთვნილი მოედანი.

რაც შეეხება ლიცეუმის ინვენტარს, განხილულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში https://tenders.procurement.gov.ge/, რომელიც წარმოადგენს საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის ოფიციალურ პორტალს, ლიცეუმის მიერ განხორციელებული შესყიდვები, როგორც მიმდინარე, ისე დასრულებული. როგორც გაირკვა, კადეტთა სამხედრო ლიცეუმისათვის განკუთვნილი 650 (ექვსასორმოცდაათი) კომპლექტი სასკოლო მერხი და სკამი (ეროვნული ელექტრონული ტენდერის NAT260010211) მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადების პროცესი და შესაბამისად, დაწესებულება უახლოეს პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება მერხებით და სკამებით. ასევე, განხორციელდება პროექტორების (NAT260005903), ფერადი პრინტერების (NAT260006283), პერსონალური კომპიუტერების (CON250000523) და სხვა საჭირო ინვენტარის შესყიდვის პროცედურები.

<u>ვინაიდან, ვიზიტის დროს ავეჯისა და ინვენტარის მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილზე არ იყო წარმოდგენილი, მიუხედავად განხორციელებული ან მიმდინარე შესყიდვების არსებობისა, ფაქტობრივი მდგომარეობა არ ასახავს</u>

საგანმანათლებლო გარემოს სრულფასოვან უზრუნველყოფას. შესაბამისად, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას დადებითად შეაფასონ ინდიკატორი.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ლიცეუმმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.1 ინდიკატორთან დაკავშირებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული აქვს 2026 წლის 1 სექტემბერი. როგორც ირკვევა, ვინაიდან, დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტერიტორია წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკუთრებას და დახურული რეჟიმის ობიექტია, ამიტომ, საჯარო რეესტრის ამონაწერში არ იძებნება. შესაბამისად, ექსპერტების მოთხოვნა, აღნიშნულ ნაწილში, არარელევანტურია. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს ავეჯით და შესაბამისი ინვენტარით შენობის აღჭურვა. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

ლიცეუმს შედგენილი და დამტკიცებული აქვს ლაბორატორიით (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო და საბუნებისმეტყველო) სარგებლობის წესი, ასევე, ბიბლიოთეკის დებულება. სკოლის ახალ რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა - პავილიონის სივრცე, ლაბორატორიები, სპორტული და სააქტო დარბაზები (კადეტთა კლუბის დარბაზი), სატრენაჟორო შიდა და გარე სივრცე უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების თანაბარ წვდომას და სივრცეების ფუნქციურ გამოყენებას. ყველა კლასი უზრუნველყოფილი იქნება ბაზისური სასწავლო ინვენტარით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებას შედგენილი აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, ბიბლიოთეკის მიზანს, ფუნქციებს, სტრუქტურას და აწესრიგებს ბიბლიოთეკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. ბიბლიოთეკა თავის საქმიანობას წარმართავს „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონით, დირექტორის ბრძანებებით და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი განისაზღვრება ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით დილის 09:00 საათიდან საღამოს 18:00 საათამდე, ხოლო პარასკევს დილის 09:00 საათიდან შუადღის 14:00 საათამდე - დასვენების დღეებისა და უქმე დღეების გამონაკლისით. *ვიზიტის პერიოდში, ბიბლიოთეკა არ იყო მოწყობილი და მასში არ იყო წარმოდგენილი სახელმძღვანელოები, მათ შორის, კლასგარეშე და მხატვრული ლიტერატურა, ასევე, სასკოლო სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა.*

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ლიცეუმმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.3 ინდიკატორთან დაკავშირებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული აქვს 2026 წლის 1 სექტემბერი. დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის ბიბლიოთეკის მოწყობა და შევსება სასკოლო სახელმძღვანელოებით, მათ შორის, კლასგარეშე და მხატვრული ლიტერატურით, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურით. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

ლიცეუმის ინფრასტრუქტურა სრულად არ არის ადაპტირებული. შენობის შესასვლელში არის პანდუსი, ასევე, პირველ სართულზე ადაპტირებული სველი წერტილი, თუმცა, შენობის მე-2 და მე-3 სართულზე მოხვედრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის არ არის ხელმისაწვდომი.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ლიცეუმმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.4 ინდიკატორთან დაკავშირებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული აქვს 2026 წლის 1 სექტემბერი. დაწესებულებამ უზრუნველყოს ადაპტირებული გარემოს მოწყობა, რათა შესაძლებელი იყოს სართულებს შორის (II და III) გადაადგილება შშმ პირებისათვის. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

ლიცეუმის არსებული ინფრასტრუქტურა შექმნის საფუძველს მისი, როგორც სოციო-კულტურული სივრცის განვითარებისთვის. კადეტებს მიეცემათ შესაძლებლობა ლიცეუმის ბაზაზე განახორციელონ მრავალმხრივი

სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. ლიცეუმის კლუბი (კადეტთა კლუბი), პავილიონი და ეზოში მოწყობილი ღია სივრცე გამოიყენებული იქნება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებისათვის, მათ შორის სამუშაო შეხვედრებისთვის, საზეიმო ღონისძიებებისთვის, ინტელექტუალური ვიქტორინების, საგანმანათლებლო პროექტების, პრეზენტაციებისა და ცნობილ პირებთან შეხვედრების ორგანიზებისთვის. უნიკალური სპორტულ ინფრასტრუქტურა საშუალებას მისცემს დაწესებულებას ჩატარდეს სპორტული შეჯიბრებები და გასართობ-შემეცნებითი აქტივობები. სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს კულტურული, სპორტული, შემეცნებითი და სხვა ტიპის ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობას ლიცეუმის საზოგადოების, მშობლებისა და თემის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო რეესტრის ამონაწერი (დოკუმენტის მომზადების თარიღი - 30.04.2024წ.);
- შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის https://tenders.procurement.gov.ge/ მონაცემები;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ლაბორატორიით (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო და საბუნებისმეტყველო) სარგებლობის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

   როგორც უკვე აღინიშნა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ განხილულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში https://tenders.procurement.gov.ge/, რომელიც წარმოადგენს საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის ოფიციალურ პორტალს, ლიცეუმის მიერ განხორციელებული შესყიდვები, როგორც მიმდინარე, ისე დასრულებული. როგორც გაირკვა, ლიცეუმის მიერ განხორციელდება პროექტორების (NAT260005903), ფერადი პრინტერების (NAT260006283), პერსონალური კომპიუტერების (CON250000523), ჭკვიანი დაფების და სხვა საჭირო ინვენტარის შესყიდვის პროცედურები. სკოლაში კომპიუტერული ლაბორატორიისთვის და რობოტიკის სწავლებისათვის გამოყოფილია შესაბამისი სივრცეები. *მიუხედავად განხორციელებული ან მიმდინარე შესყიდვების არსებობისა, ფაქტობრივი მდგომარეობა არ ასახავს დაწესებულების ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის სრულფასოვან უზრუნველყოფას. შესაბამისად, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას დადებითად შეაფასონ ინდიკატორი.*

   არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ლიცეუმმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.1.1 ინდიკატორთან დაკავშირებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული აქვს 2026 წლის 1 სექტემბერი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია - უზრუნველყოს ლიცეუმის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამართვის პროცესი. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ლიცეუმს შედგენილი და დამტკიცებული აქვს ლაბორატორიით (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო და საბუნებისმეტყველო) სარგებლობის წესი. როგორც ირკვევა, ლაბორატორიების ძირითადი მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია აღჭურვილი იქნება თანამედროვე კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობებით და გამიზნული იქნება სასწავლო პროცესში კადეტების თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებისთვის. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიაში განთავსებული იქნება კომპიუტერული ტექნიკა, ასევე ლაბორატორია აღჭურვილი იქნება ჭკვიანი დაფით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლაბორატორიით (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო და საბუნებისმეტყველო) სარგებლობის წესი;
- შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის https://tenders.procurement.gov.ge/ მონაცემები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

კადეტთა სამხედრო ლიცეუმში მოქმედებს როგორც საიდუმლო, ისე არასაიდუმლო საქმისწარმოების წესი. ექსპერტების მიერ განხილულ იქნა არასაიდუმლო საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის და არეგულირებს

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის ელექტრონულ დოკუმენტბრუნვას და ელექტრონულ დოკუმენტებზე მუშაობის წესებს, აგრეთვე სხვა უწყებებიდან, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან შემოსული დოკუმენტაციის დამუშავებისა და შენახვის წესებს. გარდა ამისა, ექსპერტებმა განიხილეს სახელმძღვანელო, რომელიც საქმისწარმოების დამხმარე დოკუმენტია და ადგენს არასაიდუმლო დოკუმენტბრუნვის მოწესრიგებას, დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების ინსტრუქციების ნათლად და მკაფიოდ მიწოდებას, ასევე, საქმისწარმოების ერთიანი სტანდარტების დამკვიდრებას, მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას, დროისა და ადამიანური რესურსის დაზოგვას. ლიცეუმი აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (emod)-სა და მატერიალური საქმისწარმოების მეშვეობით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის გამოყენების საშუალებით, პროგრამის -,,EMOD"-ის მეშვეობით. სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: cml@mod.gov.ge– კომუნიკაციის ეფექტური საშუალებაა. სკოლას აქვს ვებ. გვერდი: www.cadet.mod.gov.ge
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა განიხილეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულყოფილად აქვს შევსებული ყველა ველი. მითითებულია ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, არჩეული აქვთ სახელმძღვანელოები, შეტანილი აქვთ სკოლის პერსონალის და კადეტების, მათი კანონიერი წარმომადგენლების პერსონალური მონაცემები და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

ლიცეუმი თანამშრომლობს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და ყოველწლიურად წარუდგენს ინფორმაციას მიღებული ვაუჩერული დაფინანსების დახარჯვასთან დაკავშირებით. ასევე, ყოველწლიურად აკეთებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე წარსადგენად. ასევე, ყოველთვიურად წარადგენს შემოსავლების სამსახურში შესაბამის საგადასახადო დეკლარაციებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- არასაიდუმლო საქმისწარმოების წესი;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამისი ველები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

   როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას აქვს ვებ. გვერდი: www.cadet.mod.gov.ge, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ლიცეუმში მიმდინარე პროცესების შესახებ. ვებ. გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სიახლეების შესახებ, კადეტთა მიღების წესი და პროცედურები, ინფორმაცია ოლიმპიადების და კონფერენციების შესახებ, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, სამართლებრივი აქტები და საჯარო ინფორმაცია. გარდა ამისა, ლიცეუმს აქვს შესაბამისი გვერდი სოციალურ ქსელშიც, რომელსაც 38 ათასი მიმდევარი ჰყავს. სოციალური გვერდის დათვალიერება ცხადყოფს, რომ მრავალფეროვანი ღონისძიებები, შეხვედრები, სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობები მიზნობრივი, საინტერესო და მოსწავლეთა განვითარებაზეა ორიენტირებული. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სსიპ – კადეტთა სამხედრო ლიცეუმის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და კავშირგაბმულობის უფროსი სპეციალისტის ფუნქციონალური მოვალეობების განხილვისას გაირკვა, რომ სწორედ მან უნდა უზრუნველყოს ვებ-გვერდის ტექნიკური გამართულობა. რაც შეეხება კადეტთა სამხედრო ლიცეუმის სოციალური ქსელის/ქსელების, ვებ გვერდის, ელექტრონული ფოსტისა და არსებობის შემთხვევაში სხვა ელექტრონული პლატფორების მართვა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ფუნქციონალური მოვალეობებს განეკუთვნება. აღნიშნული თანამშრომლები უზრუნველყოფენ ლიცეუმის შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სსიპ – კადეტთა სამხედრო ლიცეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ფუნქციონალურ მოვალეობას წარმოადგენს კადეტთა სამხედრო ლიცეუმის პოპულარიზაციისა და საზოგადოებაში დადებითი იმიჯისათვის ეფექტური სისტემის შექმნა, საზოგადოებასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობა, საჯარო და პერსონალური ინფორმაციის გაცემას მოქმედი კანონმდებლობის მათ შორის - ,,კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" შესაბამისად, კადეტთა სამხედრო ლიცეუმში მიმდინარე პროცესების/საქმიანობის საზოგადოების წინაშე ობიექტურად და ხარისხიანად წარმოჩენა. სწორედ აღნიშნული სამსახურის არსებობა უზრუნველყოფს კომინიკაციის სხვადასხვა საშუალებებით მიღებული უკუკავშირის გამოყენებას საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ. გვერდი www.cadet.mod.gov.ge და მასზე განთავსებული ინფორმაცია ქართულ ენაზეა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

   ლიცეუმის ვებ. გვერდი ინფორმატიულია და დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას სკოლის ფილოსოფიის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ. აგრეთვე, დეტალურად აღწერს ჩარიცხვის პროცედურებს, გასაჩივრების მექანიზმებს, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებს და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ. გვერდი;
- სოციალური ქსელის გვერდი;
- ლიცეუმის მომსახურეთა ფუნქცია-მოვალეობები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

   საფინანსო და შესყიდვების სამსახური უზრუნველყოფს ლიცეუმის ფინანსური მართვისა და შესყიდვების პროცესების ორგანიზებასა და განხორციელებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მის კომპეტენციაში შედის ლიცეუმის ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაციული უზრუნველყოფა, ბიუჯეტის პროექტის შედგენა და მისი დირექტორისთვის წარდგენა, აგრეთვე დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი და ანალიზი. იგი უზრუნველყოფს ლიცეუმის მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სამივლინებო ხარჯების, სოციალური და სხვა სახის დახმარებების გაცემასთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციების წარმოებასა და კონტროლს. სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა ლიცეუმის სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული პროცედურების უზრუნველყოფა. იგი წარმართავს სახელმწიფო შესყიდვების პროცესებს, შეიმუშავებს წლიურ გეგმებს დაფინანსების წყაროების მიხედვით, განსაზღვრავს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას შიდა და საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო ბაზრის ანალიზის საფუძველზე, ახორციელებს ერთგვაროვანი ობიექტების დაჯგუფებას და არჩევს შესყიდვის შესაბამის საშუალებებს კანონმდებლობით დადგენილი მონეტარული ზღვრების გათვალისწინებით, შესაბამისად, სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

   ფინანსური დაგეგმვა ხორციელდება წინა სასწავლო წლის ფინანსური ანალიზის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში, ხდება ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანა. ლიცეუმის სტრუქტურული ერთეულების მიერ შედგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შესაბამისი რეკვიზიტების მიხედვით ფინანსური ოპერაციების განხორციელება, ლიცეუმის სტრუქტურული ერთეულების მიხედვით ბიუჯეტის პროექტის წინადადებების შეგროვება, შეჯერება და ბიუჯეტის პროექტის წინადადებების მომზადება სსიპ – კადეტთა სამხედრო ლიცეუმის საფინანსო და შესყიდვების სამსახურის

უფროსის მოადგილის ფუნქციონალურ მოვალეობებს მიუკუთვნება. ლიცეუმის ფინანსური საქმიანობის კონტროლს ახორციელებს დირექტორი და ბუღალტერი. ლიცეუმის დირექტორი ახორციელებს ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს. ლიცეუმი ყოველწლიურად აკეთებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე წარსადგენად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლიცეუმის მომსახურეთა ფუნქცია-მოვალეობები.
- ლიცეუმის 2025 წლის ბალანსი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

   სსიპ კადეტთა სამხედრო ლიცეუმის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია დამტკიცებულია კადეტთა სამხედრო ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს მიერ 2024 წელს. როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა (მე-5 მუხლი), ლიცეუმის სასწავლო გეგმის განვითარება კადეტების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება და მათი თანამონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებას და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულ მხარეებს შორის დელეგირებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რაც უკავშირდება მოსწავლეებთან, მშობლებთან კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული აქტუალური და პობლემური საკითხების განხილვას, ინფორმირებას, მათი აზრისა და შეხედულებების გაზიარებას. კურიკულუმის შემუშავება ეყრდნობა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, მოსწავლეთა მიღწევების შესახებ კვლევისა და ანალიზის შედეგებს, ტარდება კათედრის სხდომები სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად (მე-7 მუხლი); პედაგოგებს შორის ხორციელდება კოორდინირებული მუშაობა, მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

   როგორც უკვე აღინიშნა, კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება და გათვალისწინებულია მათი ინტერესები - საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები შექმნილია სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობით. შინაარსობრივი საკითხები განიხილება კათედრის სხდომებზე სადაც მუშავდება: საგნობრივი თემები, საკითხები, საგანმანათლებლო რესურსები და ა.შ. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სრულიად სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ განხილულ იქნა დაწესებულების მიერ ჩატარებული სადიაგნოსტიკო წერების, შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები,

საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა ცოდნა და უნარები აქვს მოსწავლეს (კადეტს) საწყის ეტაპზე და რამდენად პასუხობს სწავლება საზოგადოების მოთხოვნებს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე იმ კომპეტენციებს, რომლებიც კურიკულუმით არის განსაზღვრული. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ კადეტთა სამხედრო ლიცეუმის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან ნათლად ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება კათედრის წევრებისა და დირექციის თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობიდან გამოკვეთილი მიგნებების გათვალისწინებით. სწორედ სასკოლო საზოგადოება - ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები ყველაზე კარგად იცნობენ სკოლის საჭიროებებს, მოსწავლეთა ინტერესებს და იმ გარემოს, სადაც სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობს. ამგვარად შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეზე და ითვალისწინებს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ისე, კონკრეტული სკოლის რეალურ საჭიროებებს. ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ხელს უწყობს პასუხისმგებლობის გაზიარებას, თანამშრომლობას და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს საზოგადოების მოთხოვნის დაკმაყოფილებას და მოსწავლეთა ინტერესებზე ზრუნვას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან ირკვევა, რომ დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში და სასწავლო დაგეგმარებისა და მონიტორინგის განყოფილება უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებას (მე-8 მუხლი). კურიკულუმი, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ კადეტთა სამხედრო ლიცეუმის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სადიაგნოსტიკო წერების, შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები;

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, რომელიც ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმილ სასწავლო პროცესს, კურიკულუმის ჩარჩოები შედგენილია აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან, სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, გრძელვადიან შედეგებს, შემუშავებული კურიკულუმი ითვალისწინებს შუალედური მიზნების მიღწევას შემოქმედებითი დავალებების საფუძველზე. **რჩევა:** (საბაზო და საშუალო საფეხური) სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოების ქვეშ მითითებული იყოს კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება დეტალური სახით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს შეფასების კრიტერიუმები გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული ორივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები („ისტორია“, „გეოგრაფია“, „მოქალაქეობა“, „საქართველოს ისტორია“ – საბაზო და საშუალო საფეხურზე) არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი

	შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვასა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ შემოქმედებითი ხასიათის დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები, ასევე სკოლის ის ნიშა, მუსიკალური ხაზი, რაც სკოლაში გაძლიერებული მიმართულებაა. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით ინტერვიუს დროს გაზიარდა, რომ სასკოლო პრაქტიკაში დანერგილი აქვთ დამატებითი მხარდამჭერი შეხვედრები. ორივე საფეხურზე, ძირითადად წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებების იდეები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გააზიარეს საკუთარი გამოცდილება კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების განხორციელების კუთხით და გამოკვეთეს სამომავლო ხედვა. მათ სწორი აქცენტები გააკეთეს საფეხურის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზებსა და საშუალებებზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** სკოლას მიეცა **რჩევა:** (ორივე საფეხურისთვის) სასურველია, XI კლასის საქ. ისტორიისა და გეოგრაფიის კურიკულუმებში შემოქმედებით დავალებად გაწერილი იყოს ყველა და მკაფიოდ ჩანდეს შემოქმედებითი დავალების პირობა, რომელიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე და აღძრავს მათ შემოქმედებითობისაკენ. თითოეულ თემაში უნდა ჩანდეს რითი ჯამდება, რას ქმნიან მოსწავლეები. მკაფიოდ მიეთითოს თუ რა უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ ცნებებთან მიმართებაში. მოცემულ კურიკულუმში შემოქმედებიტ დავალებად წარმოდგენილი იყო ტეტსი.
უცხოური ენები	კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები ხელს უწყობს კადეტების კრიტიკული, შემოქმედებითი და კომპლექსური აზროვნების უნარების განვითარებას. თითოეული თემის ფარგლებში შერჩეულია ნაცნობი კონტექსტები, დაგეგმილია შემოქმედებითი ტიპის

	დავალებები, რომლებზე მუშაობისას კადეტს დასჭირდება მაღალი სააზროვნო უნარები და ცოდნის ინტეგრირება. კურიკულუმის დაგეგმვისას, მასწავლებლები ეყრდნობიან გასული წლის შედეგების ანალიზს (აქტივობების რეფლექსია, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა, დიაგნოსტიკური წერების ანალიზი), ითვალისწინებენ კადეტთა საჭიროებებს და შესაძლებლობებს, რაც უზრუნველყოფს მათი სასწავლო პროცესში ჩართულობას. არასავალდებულო დამატებითი საგნების სახით კადეტებს ასევე შეუძლიათ - TOEFL, SAT პროგრამების გავლა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, სწავლების ორივე საშუალო) სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომები და განვითარების ეტაპები. საგნობრივი პედაგოგები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს, მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს. ესთეტიკის აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და წლიურ სამოქმედო გეგმაში გაწერელი თემები, აქტივობები, შემოქმედებითი დავალებები დაგეგმილია ეროვნულის სასწავლო გეგმის მთავრი პრინციპების მიხედვით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი აქვთ საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც ასახულია დავალებები, რომლებიც შემეცნებით-შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას ითვალისწინებს. დავალებები მრავალფეროვანია და მათზე მუშაობა სწავლის პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას გულისხმობს. დავალებებზე სათანადო მუშაობა მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და შესაძლებლობების გათვალისწინებას, გააქტიურებასა და ახალი ცოდნის მისაღებად მათ მზაობას განაპირობებს. წარმოდგენილი აქვთ შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის

	პროცესის მონახაზი, რომელიც მოსწავლეთა ცოდნის აგების ლოგიკურ, თანმიმდევრულ, სისტემურ საგანმანათლებლო პროცესს წარმოაჩენს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილი დავალებები (დავალების იდეა), რომელთა შერჩევა განხორციელებულია კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული დავალებები იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვის, ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	კათედაზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმის ჩარჩოები წარმოდგენილია სავალდებულო თემებით, შესაბამისი საკითხებით და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, ჩარჩოში ასახულია შესაბამისი საგნობრივი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შერჩეული კონტექსტ-მაგალითები და შემოქმედებითი პროდუქტები ხელს უწყობს ცოდნის კონსტრუირებას და სასწავლო მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ორივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს უწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამიზნე ცნება გამორჩენილია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** სკოლას მიეცა **რჩევა:** • *სასურველია, თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება* (VII *კლასის მოქალაქეობის კურიკულუმი*);

	• *კათედრაზე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემუშავდეს ერთი ფორმა კურიკულუმის, რომელიც მარტივად წასაკითხი, აღსაქმელი და დასანერგი იქნება სამუშაო პროცესში. აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი გრძელვადიანი მიზნები(ცნებები) და შესაბამისი დავალების იდეა/პირობა.*
უცხოური ენები	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ინგლისური, რუსული, ფრანგული და თურქული ენის კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები, განსაზღვრულია კონკრეტული რესურსები. შესასწავლ თემებთან მიმართებით დაგეგმილია შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რაც ხელს უწყობს საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. **რჩევა:** სასურველია, მეორე უცხოური ენის (ფრანგული, რუსული) საბაზო საფეხურის კურიკულუმებში იხელმძღვანელოთ განახლებული საგნობრივი სტადარტით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დამუშავების მიხედვით, სწავლების ორივე საფეხურზე (საბაზო, საშუალო) კურიკულუმები გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს სასკოლო სასწავლო გეგმის წლიურ მისაღწევ შედეგებს, სწავლების გრძელვადიანი მიზნები მიიღწევა სტანდარტით გაწერილი მოკლევადიანი მიზნით. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის დანერგვის და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მასწავლებლებს ეხმარება კურიკულუმი, მათი სამუშაო წლიური გეგმა, დაგეგმონ ეროვნული სასწავლო

	შედეგების გათვალისწინებით. ამ ეტაპზე, სკოლას საგნობრივი კურიკულუმები წარმოდგენილი აქვს სარეკომენდაციო ერთიანი ჩარჩო ფორმის სახით, რომელიც მოიცავს თემის ფარგლებში გაწერილ თითოეულ კომპონენტს (თემა, ძირითადი საკითხი/საკითხები, ძირითადი კონტექსტ მაგალითები, კომპლექსურ/შემოქმედებითი შემაჯამებელი დავალების იდეა, სამიზნე ცნება/ქვეცნება, სასწავლო რესურესები), რომელიც მიემართება გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად. **რჩევა:** სასურველია, ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას, კათედრის წევრების მიერ გადაიხედოს წარმოდეგენილი კურიკულუმის სარეკომენდაციო ჩარჩო, განიხილონ და შეიმუშავონ კურიკულუმის ახალი ფორმა. სასურველია ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას, ესთეტიკური აღზრდის საგნებში (ხელოვნება მუსიკა) კათედრის წევრებმა განიხილონ და აირჩიონ საბაზო საფეხურის (მე-7, მე-8, მე-9) სწავლებისთვის ძირითადი სასწავლო გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, რომლის მიხედვითაც დაგეგმავენ ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	საგნობრივ კურიკულუმებში წარმოჩენილია, რომელ სამიზნე ცნებებს ააქტიურებს თითოეული დავალება. შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებაა და მთლიანობაში გრძელვადიან მიზნებს მიემართება. შეფასების რუბრიკებშიც განსაზღვრულია ის მიზნები და შედეგები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება დავალება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

მათემატიკა	სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე, ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია შემოქმედებითი ან შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში). დოკუმენტების განხილვისა და ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	ლიცეუმის მხრიდან წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, აქტივობები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების დახვეწას უწყობს ხელს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმის ჩარჩოებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები (ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ვირტუალური ლაბორატორიები, ინტერნეტ-რესურსები და სხვა) უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას. **რჩევა:** (ორივე საფეხური) სასურველია, საკლუბო მუშაობის, კონფერენციის, კვლევის დროს შექმნილი მასალები გადაირჩეს, შეფასდეს გამოყენებადი სასწავლო რესურსების კუთხით და აისახოს კურიკულუმის ჩარჩოებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები ორივე საფეხურზე, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოები, ტელესკოლის ვიდეო რესურსები და გაკვეთილები, El.ge-ის პორტალის რესურსები, სასწავლო რუკები და სხვა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესის განმავლობაში კათედრა იყენებს შემდეგი ტიპის საგანმანათლებლო რესურსებს: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები და დამატებითი სახელმძღვანელოები, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე, კათედრა აქტიურად იყენებს სკოლის ბაზაზე არსებულ ტექნოლოგიებს და ინტერნეტს ელექტრონული პრეზენტაციების, პროექტების და სხვა შემოქმედებითი პროდუქტების შექმნის პროცესში.

	ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტების მიხედვით, სწავლების ორივე საფეხეურზე (საბაზო, საშუალო) წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევას. კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფილია ესთეტიკის საგნების სწავლისთვის საჭირო მატერიალური და ონლაინ რესურსებით, სასწავლო გარემო აღჭურვილია სწავლებისთვის შესაბამისი ციფრული და ტექნოლოგიური რესურსებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	მრავალფეროვან დავალებებთან ერთად მრავალფეროვანი რესურსი აქვთ წარმოდგენილი, მათ შორის მულტიმედიური ტექსტები. ვიდეორესურსი საინტერესოა და, გარდა იმისა, რომ მოსწავლეთა ემოციურ კმაყოფილებას განაპირობებს, საკითხის უკეთ აღქმაში დაეხმარება. წარმოდგენილი აქვთ შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესის ამსახველი მასალა, ნიმუში, რომელიც აჩვენებს, რომ რესურსი, მათ შორის ცხრილი, საგანმანათლებლო პრინციპების დაცვითაა შერჩეული. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	სწავლების ორივე საფეხურზე კურიკულუმებში გათვალისწინებულია შესაბამისი რესურსი, გრიფირებული და დამატებითი (სახელმძღვანელო და ელექტრონული რესურსი), რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

სპორტი	ლიცეუმის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, განხორციელებული სპორტული აქტივობები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს, სწავლებისას მასწავლებლები იაზრებენ დიფერენცირებული სწავლების მნიშვნელობას. სასწავლო პროცესის დაგეგმარება, კადეტთა თვითმომზადების პროცესი, მასწავლებელთა მზაობა და ჩართულობა ხელს უწყობს ინკლუზიის ხარისხს და დიფერენცირებულ მიდგომებს. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში აისახოს მასწავლებელთა მიერ მოდიფიცირებული აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო სტრატეგიების მრავალფეროვნებას და აამაღლებს სწავლების ხარისხს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ ორივე საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას თავისი პროფილიდან გამომდინარე არ ყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა დიფერენცირებას სასწავლო პროეცესში ხშირად მიმართავენ. ენობრივი ბარიერების არსებობის შემთხვევაში კიდევ უფრო მეტად უხდებათ დავალებების პირობების გამარტივება, დანაწევრება. შემოქმედებითი ტიპის დავალებების შერჩევისას, მაქსიმალურად ითვალისწინებდნენ კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებსა და ინტერესებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე, კურიკულუმები იმგვარადაა შედგენილი, რომ იძლევა დიფერენცირების შესაძლებლობას და ხელს უწყობს კადეტთა ჩართულობას. ამის დასტურია, საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები, წარმოდგენილი კადეტთა ნამუშევრები და საერთაშორისო (eTwinning) პროექტის გეგმები. ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე შეიმუშავებენ კონკრეტულ სტრატეგიებს, რაც კადეტებს ეხმარება დასახული მიზნის მიღწევაში.

	რჩევა: სასურველია, კათედრამ განახორციელოს უფრო მრავალფეროვანი კლასგარეშე, არაფორმალური აქტივობები, რაც დაეხმარება კადეტებს მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	ავტორიზაციის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის ანალიზის საფუძველზე, სწავლების ორივე საფეხურზე (საბაზო, საშუალო) სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. კურიკულუმით გაწერილი შემოქმედებითი დავალება ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ ინტერესებს. პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს სთავაზობენ მათ ინტერესებზე მორგებულ დავალებებს, რომელიც მათ აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი/პროექტული დავალების პირობა იყოს გამართული, მოსწავლისთვის გასაგები ენით მიწოდებული, დაკონკრეტებული, მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მორგებული, უფრო მეტად გათვალისწინებული იქნას დიფერენცირებული სწავლების მიდგომები სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვთ დავალებები, რომელთა განხორციელება (შემოქმედებით–შემეცნებითი პროდუქტის შექმნა) თითოეული მოსწავლის ცოდნის დონის, შესაძლებლობის გათვალისწინებას მოითხოვს, რადგან უკვე არსებულ ცოდნაზე იგება ახალი ცოდნა. წარმოდგენილ დავალებებზე სათანადო მუშაობა სხვადასხვა მზაობის მოსწავლესთან ინდივიდუალურ მიდგომას ითვალისწინებს.

	ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
მათემატიკა	სწავლების ორივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიმების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებელებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ ჰყავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. კათედრის ფარგლებში შერჩეულია შეფასების ერთიანი

	მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს როგორც საგნობრივ სტანდარტებს, ასევე გამოკვეთს კადეტების ფუნქციურ-კომპონენტური უნარების ფლობის დონეს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ორივე საფეხურზე, სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს, როგორც მასწავლებელს, დაინახოს მოსწავლის პროგრესი, ასევე, მოსწავლეს, რომ დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. ორივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტებით. კომპლექსურ დავალებებებზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. საბაზო და საშუალო საფეხურებზე VII-XII კლასების ფარგლებში წარმოდგენილია კონკრეტული რუბრიკები. რაც შეეხება სადიაგნოსტიკო წერებს, როგორც ინტერვიუდან გაირკვა, ატარებენ წელიწადში სამჯერ, პირველი სემესტრის დასაწყისში პირველი სემესტრის ბოლოსა და მეორე სემესტრის ბოლოს. ასევე აქვთ სასწავლო წლის ბოლოს გამოცდა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	კათედრას შემუშავებული აქვს ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი, რომელიც განსაზღვრავს მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით

	და განმავითარებელი, სადაც ორიენტირი კადეტის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობაა. შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. წარმოდგენილი შემაჯამებლის ანალიზის ფორმა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები, ასევე ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკები ადასტურებს, რომ ორიენტირება ხდება სამიზნე ცნებებსა და მოლოდინებზე, თუ რა უნდა შეძლოს კადეტმა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	ავტორიზაციის დოკუმენტაციის და მასწავლებლებთან გასაუბრების გაანალიზების საფუძველზე სკოლა სწავლების ორივე საფეხურზე (საბაზო, საშუალო) ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების სისტემით, მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი აქვთ როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებში დაკონკრეტებულია შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები. შეფასების აღმწერები მკაფიო და არაორაზროვანია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

მათემატიკა	შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. სტანდარტის შესაბამისად ახდენენ დაკვირვებას მოსწავლეთა განვითარების დინამიკაზე. ორიენტირებული არიან სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. შეფასების სისტემა არის ვალიდური. შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და აქიდან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული, გამომდინარე აქედან, მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი პროგრამები;
- მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი;
- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმის ჩარჩოები აღწერს სწავლის პროცესის დაგეგმარებას, რომელიც სასკოლო კურიკულუმის შესაბამისია. გათვალისწინებულია საგანსპეციფიური მოთხოვნები, მრავალფეროვანი აქტივობები, შერჩეულია კონტექსტ-მაგალითები. კურიკულუმში მოცემული მაგალითები შედარებისათვის აღწერს ლოგიკურ ჩარჩოებს ნაცნობიდან უცნობისაკენ, იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას. გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილები იძლევა საშუალებას, კადეტებმა გიაზრონ საკითხები საგანთა ბუნებრივი

	კავშირების გზით. საკლუბო მუშაობისას დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს ფორმალური განათლებით განსაზღვრული სავალდებულო თემების გააზრებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მოუწიათ კურიკულუმებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რასაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას. ცვლილებები ძირითადად ეხებოდა კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების რაოდენობას, დავალების პირობის გამარტივებასა და დაზუსტებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმები მიემართება სტანდატით განსაზღვრულ მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს. კურიკულუმში გაწერილი საკითხები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებთან. კურიკულუმების მიხედვით შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ამასთანავე, განსაზღვრულია რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას. წარმოდგენილია მასწავლებლის რეფლექსიები, შედეგების ანალიზი და მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც ასევე ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად.

	ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	სწავლების ორივე საფეხურზე (საბაზო, საშუალო), ესთეტიკის საგნების (მუსიკა, ხელოვნება) სასწავლო პროცესი დაგეგმილი არის სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი დაგეგმილი არის საინტერესო, შემეცნებითი თეორიული და პრაქტიკული აქტივობებით, სწავლების პროცესში შეთავაზებული არის მრავალფეროვანი, ვიზუალური და მოსასმენი მასალა, რაც მოსწავლეს ეხმარება განვითარების პროცესში. კურიკულუმით გაწერილი კომპლექსურ/შემოქმედებითი დავალებები მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას წარმოაჩინონ საკუთარი შემოქმედებითი ხედვა და წინა ცოდნაზე დაფუძნებით სხვადასხვა ხერხების და ტექნიკების გათვალისწინებით შეასრულონ დავალება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია, დაგეგმილი კურიკულუმი როგორ დაინერგება სასწავლო პროცესში. შემუშავებული აქვთ თანამშრომლობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები, რომლებიც კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგს, შესწავლასა და განვითარებას ემსახურება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	სწავლების ორივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები,

	რომელთა დასამუშავებლად ცხრილში გაწერილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები. კომპლექსურ დავალებები, შესაბამისი აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები, მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო კომპლექსური დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში, გამომდინარე აქეადან სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს იმ საჭიროებებზე, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებს. ექსპერტმა განიხილა სკოლის მიერ წარმოდგენილი დიაგნოსტიკური წერების და შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია. ასევე, კათედრის სხდომის ოქმები და ანგარიშები, საიდანაც ირკვევა, რომ პედაგოგები აკვრდებიან კურიკულუმის დანერგვის პროცესს, აგროვებენ მონაცემებს და აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფენ შესაბამის ცვლილებებს - მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის საფუძველზე, მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის გათვალისწინებით. მასწავლებელთა პროფესიული დაკვირვებების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება მოიცავდეს დამატებით

საკონსულტაციო საათებს, დიფერენცირებულ დავალებებს, საგანმანათლებლო რესურსების განახლებას ან პროფესიული განვითარების აქტივობებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლეთა შეფასებას ვალიდურად, გამჭვირვალედ, სანდო, ობიექტური და სამართლიანი პრინციპების დაცვით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან რა მოლოდინები აქვთ პედაგოგებს მათ მიმართ და რისი ცოდნა მოეთხოვებათ. შემოქმედებითი დავალებები და დეტალურად შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მოსწავლეებს ყავთ სასწავლო პროცესსში მხარდამჭერი ფსიქოლოგი. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს გარე შეფასების მონიტორინგის სისტემა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო. შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებისკენ. კრიტერიუმები კონკრეტული და გაზომვადია. კადეტები წინასწარ იცნობენ

	შეფასების კრიტერიუმებს და იციან კონკრეტულად რა ცოდნა და უნარები მოეთხოვება მათ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების ორივე საფეხურზე (საბაზო, საშუალო) შეფასების სისტემა იყოს ობიექტური, გამჭვირვალე, სანდო, და სამართლიანი როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე. შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების თითოეული ფორმა, რომელიც სწავლა- სწავლების პროცესში გამოიყენება არის მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული. შეფასების სისტემა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის კრიტერიუმებს. შემაჯამებლის რუბრიკები შემუშავებული არის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სკოლას წარმოდგენილი აქვს ვერიფიკაციის მექანიზმები. გამოყოფილია ვერიფიკაციის მიმართულებები, განსაზღვრულია ვერიფიკაციის პროცესის ეტაპები, დასმულია მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებებისა და შეფასების ინსტრუმენტების ხარისხის შეფასების საკითხი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	სასწავლებელს შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები

	შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	ლიცეუმის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებელი შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რითაც ისინი შეფასდებიან სპორტული აქტივობების დროს, ეს ყოველივე საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უფრო ორგანიზებულად და მონდომებით შეასრულონ აქტივობები. შეფასების სისტემა ასევე აღწერილია ლიცეუმის სასწავლო გეგმით და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სსიპ კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორის მიერ დამტკიცებულია დაწესებულების ვერიფიკაციის მექანიზმი. დოკუმენტი დეტალურად აღწერს ვერიფიკაციის პროცესის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს, კერძოდ, ვერიფიკაციის მიმართულებებს (მუხლი N2), ვერიფიკაციის პროცესს (მუხლი N3), ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობას, შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურას და შინაარსს, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესს და პროცედურებს, შეფასების შედეგებზე კადეტის ინფორმირების სისტემას და ა.შ. საბოლოო ჯამში, ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნის საფუძველზე მუშავდება სამოქმედო გეგმა, სადაც სრულყოფილად უნდა აისახოს ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა, რომელთა განხორციელებასაც დაწესებულება დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად აპირებს. ვერიფიკაციის მექანიზმის პრაქტიკული ფუნქციონირების დასადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა წესში გაწერილი

პროცედურების დამადასტურებელი დამატებითი დოკუმენტაცია, რამაც ცხადყო, რომ ვერიფიკაციის მექანიზმი სკოლაში პრაქტიკულად ფუნქციონირებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

ელექტრონული ჟურნალი (Onlineschool) საშუალებას აძლევს მშობელს თვალი ადევნოს მოსწავლეების ელექტრონულ აღრიცხვას და შეფასებას, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების ჩანიშვნას, მოსწავლეების შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღებას. გარდა ამისა, ელ. ჟურნალი უზრუნველყოფს მონაცემების/მტკიცებულებების და ინფორმაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ვერიფიკაციის წესი.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმები აღწერს ძირითად და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებს, გამოკვეთილია ციფრული რესურსები, რომელიც აკმაყოფილებს მოცემული საკითხის უკეთ გააზრების შესაძლებლობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. კერძოდ, ელექტრონული რესურსი, ვიდეო რესურსი, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმები, რუკები, პოსტერები, პლაკატები, რაც დადასტურდა პედაგოგებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** სკოლას მიეცა **რჩევა:** სასურველია, მითითებულ იქნას ძირითადი სახელმძღვანელოს სრული დასახელება გამომცემლობა, ავტორები. შესაბამისობაში უნდა იყოს იმ რესურსებთან რასაც ვამუშავებთ.
უცხოური ენები	კურიკულუმებში, სახელმძღვანელო გამოყენებულია, როგორც ძირითადი რესურსი. კათედრა ასევე იყენებს დამხმარე რესურსებს - გრამატიკის, საკომუნიკაციო და კითხვის უნარების გაუმჯობესების მიზნით. XII კლასში (ინგლისური ენა), ასევე იყენებენ დამატებით სახელმძღვანელოს (აიმც), რომლის მთავარი მიზანია აბიტურიენტების სრულფასოვანი მომზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმების ანალიზის მიხედვით, სკოლა სწავლების ორივე საფეხურზე (საბაზო, საშუალო) იყენებს ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ძირითადი სასწავლო რესურსის (გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო) მიხედვით, ხოლო დამხმარე რესურსები მორგებული არის სასწავლო

	თემის ფარგლებში განსაზღვრულ საკითხებზე, რაც უზრუნველყოფს სწავლების ეფექტიანობას. **რჩევა:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო რესურსების ველი იყოს სრულყოფილად შევსებული. თითოეული თემის ფარგლებში დეტალურად იყოს ჩაშლილი დამხმარე სასწავლო რესურსები, რომელსაც მასწავლებელი იყენებს სწავლების პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სკოლა გრიფირებულ სახელმძღვანელოს იყენებს ძირითად სასწავლო რესურსად. გარდა ამისა, წარმოდგენილი აქვთ მრავალფეროვანი დამხმარე რესურსი, მათ შორის მულტიმედიური ტექსტები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო, ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსები - ვიდეო გაკვეთილები, რაც სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა, ზრდის მოსწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას გამოიკვეთა წარმოდგენილი მატერიალური რესურსების გამოყენება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	კურიკულუმის გაცნობის და პედაგოგთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები სრულად გამოიყენება სასწავლო პროცესში, ლიცეუმს აქვს სრულყოფილად სპორტული ინვენტარი და გამართული

	სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს დაუბრკოლებლად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის ოქმებში ასახულია დამხმარე რესურსების ვალიდაციის საჭიროება და მოთხოვნები კონკრეტული საგნების ინტერესებიდან გამომდინარე, მასწავლებლები იაზრებენ და ათანხმებენ სასწავლო რესურსებს კათერდაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს ახდენს დამხმარე რესურსის შერჩევას, გადამოწმებასა და დამტკიცებას. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. ვალიდაციას ახორციელებს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა შეიმუშავებს დამხმარე სასწავლო რესურსებს გასული სასწავლო წლის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე. კათედრის სხდომაზე განხილვის შემდეგ ხდება რესურსის ვალიდაცია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელსაც სკოლა იყენებს კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სწავლების ორივე საფეხურზე (საბაზო, საშუალო) შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. **რჩევა**-სასურველია, ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას კათედრამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს დამხმარე სასწავლო რესურსების დოკუმენტი სასწავლო რესურსის შერჩევის პრინციპით და ვალიდაციისათვის დადგენილი სქემით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება და თანხმდება, რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესში. დამხმარე სასწავლო რესურსი კათედრაზე განხილვის შედეგად შეირჩევა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

მათემატიკა	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. არჩეული აქვთ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოები, ასევე მათთვის მისაღები, საჭირო სასწავლო დამატებითი რესურსები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	ლიცეუმს არ წარმოუდგენია კონკრეტული დოკუმენტი ვალიდაციის პროცესის, თუმცა გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მუდმივად ხდება კათედრის სხდომაზე წევრებს შორის დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის შეფასება, ასევე აღინიშნა მზაობა დოკუმენტაციის შექმნის შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**ხარვეზი:** *<u>სკოლას არ აქვს შესაბამისად მოწყობილი და აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლის შენობაში შერჩეულია სივრცეები ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიებისათვის, თუმცა არ არის ინვენტარი, არ მიეწოდება წყალი. შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისი მატერალური რესურსით (ლაბორატორიული</u>*

	ინვენტარი, ხელსაწყოები, რეაქტივები, ეკიპირება, უსაფრთხოებისათვის საჭირო მოწყობილობები და სხვა) უზრუნველყოფილი არ არის. *არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ლიცეუმმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2 .2.3 ინდიკატორთან დაკავშირებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული აქვს 2026 წლის 1 სექტემბერი. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და აღჭურვა მატერიალური რესურსით და ინვენტარით, ასევე, წყალმომარაგების მოწყობის პროცესი.* **ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	კადეტები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მატერიალური რესურსით - სახელმძღვანელოებით, დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, სათანადო გარემოა შექმნილი, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგები იქნას მიღწეული. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, სათანადო გარემოა შექმნილი, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგები იქნას მიღწეული. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	სასწავლებელს აქვს სასწავლო მატარიალური რესურსი, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უსაფრთხოება და მორგებულია დიფერენცირებულ საჭიროებებზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	ლიცეუმს აქვს ღია და დახურული სპორტული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სპორტული ინვენტარი, რაც პედაგოგს უწყობს ხელს დაუბრკოლებლად განახორციელოს საგაკვეთილო-სასწავლო პროცესი, რაც გვაძლევს იმ დასკვნის საშუალებას, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

ვიზიტის დროს სკოლას შერჩეული ჰყავდა 16 (თექვსმეტი) მასწავლებელი, რაც დადასტურდა საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ. გვერდის დათვალიერების საფუძველზე. თუმცა, მათთან ჯერ არ იყო გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. გარდა ამისა, ლიცეუმს მიმდინარე ვაკანსიებიც ჰქონდა, რომლებიც ასევე, კანონით დადგენილი წესით განთავსებული იყო ვებ. გვერდზე - https://teacherjobs.ge/.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა ნაწილის შერჩევის პროცესი უკვე დასრულებული იყო, ვიზიტის განხორციელების პერიოდში კვლავ მიმდინარეობდა კონკურსები და დაკომპლექტების პროცესი არ იყო სრულად დასრულებული. აღნიშნული

<u>გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ კურიკულუმის სრულფასოვანი და ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი სრულად უზრუნველყოფილი არ იყო.</u>

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ლიცეუმმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.4 ინდიკატორთან დაკავშირებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული აქვს 2026 წლის 1 სექტემბერი. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს მასწავლებელთა შერჩევის და დაკომპლექტების პროცესის დასრულება.</u>

<u>ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- საკონკურსო დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის განვითარება გულისხმობს შემდეგ ფაზებს: კურიკულუმის შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. პროცესში მონიტორინგის და შეფასების პროცესში ჩართული მხარეებია: დირექტორის მოადგილე და სასწავლო დაგეგმარებისა და მონიტორინგის განყოფილება. დანერგვის პროცესის შემდგომ, შესაბამისი ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები? შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. არსებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების ერთობლიობა მიუთითებს, რომ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების უზრუნველსაყოფად კათედრის მიერ ხორციელდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი, შეფასების რუბრიკების გამოყენება და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

დაწესებულებას კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რომ მონიტორინგისა და შეფასების მიზანია სასკოლო კურიკულუმის სრულყოფა და განვითარება და რომ მონიტორინგის შედეგები გამოყენებულ უნდა იქნას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის - გამოვლენილი ხარვეზები და პრობლემები საფუძვლად უნდა დაედოს ახალი გადაწყვეტილებების მიღებას. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება აქტიურად მიმდინარეობს საგნობრივი კათედრებზე, რაზეც მეტყველებს კათედრების ანგარიშები და სხდომის ოქმები. სკოლა ფოკუსირებულია თვითშეფასების შედეგებსა და სადიაგნოსტიკო წერების ანალიზზე. შესაბამისად, მონიტორინგი და შეფასება იძლევა კურიკულუმის ეფექტურ განხორციელებასა და პრობლემის გადაჭრის საშუალებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. კერძოდ, მონიტორინგს ახორციელებს G-2-G-3 სასწავლო დაგეგმვისა და მონიტორინგის განყოფილება. მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები? შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. დაწესებულებაში მთელი წლის განმავლობაში გროვდება მონაცემები, რომლებიც ასახავს მოსწავლეთა მიღწევებსა და განვითარებას. პასუხისმგებელი პირები გამოკვეთავენ პრობლემებს და მათ გადასაჭრელად განიხილავენ სიახლეების დანერგვის პერსპექტივას. ამ გამოცდილების საფუძველზე სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყება მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია,
- კათედრის ანგარიშები და სხდომის ოქმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

   მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, თითოეული კათედრა მოსწავლეთა აკადემიური თუ ფსიქო-ემოციური, მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობების მიხედვით იყენებს შეფასების ფორმებსა და მეთოდებს, აქტიურად იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მეთოდებს. ამას ცხადყოფს როგორც კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მექანიზმი, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმა. მაგალითად სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ მოსწავლეთა ტესტირებით ან ქულობრივი შეფასებით, არამედ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური პროგრესისა და კომპეტენციების ობიექტურ და სრულფასოვან შეფასებას. მაგ.: იყენებენ შემოქმედებით დავალებებს, შეფასების რუბრიკებს, სადიაგნოსტიკო წერებს, შემაჯამებელი თუ პროექტული შინაარსის მქონე აქტივობებს/დავალებებს, ჯგუფურ მუშაობას, სხვადასხვა პრაქტიკულ დავალებებს თუ წერით ნამუშევრებს, პრეზენტაციებს, დისკუსიებში მონაწილეობს და სხვა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

ლიცეუმი შეფასებას ახორციელებს საგნობრივი სპეციფიკის, ასაკობრივ თავისებურებებსა და სასწავლო მიზნების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მის რელევანტურობასა და სამართლიანობას. მასწავლებელი ითვალისწინებს გარემოს, რომელიც კადეტის აკადემიურ მიღწევებზე ახდენს გავლენას, როგორიც არის არაფორმალური გარემო (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), მოსწავლეთა ინდივიდუალური თუ სოციო-კულტურული გარემო ფაქტორები. სკოლის კათედრების მიერ კურიკულუმების შექმნის/რევიზიის პროცესის პარალელურად იქმნება შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემის ფარგლებში და ემყარება გრძელვადიანი მიზნებს, რომელიც დაფუძნებულია ესგ- ის პრინციპებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა კონტექსტით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

ლოცეუმში მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებლი ანალიზის ფორმები, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შეფასებები მოსწავლეების მიერ შესრულებული წერილობითი დავალებები და ა.შ. სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ აქტიურად ხორციელდება დაკვირვება, საუბრები, უკუკავშირის გაცემა, რომელიც აჩვენებს როგორ განუვითარდათ მოსწავლეებს სააზროვნო უნარები და საგნობრივი ცოდნა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

კადეტების შეფასებისას გათვალისწინებულია მრავალი ფაქტორი, მათ შორის მოსწავლის პროგრესი, ჩართულობა სასწავლო პროცესში, მიღწეული შედეგები და ინდივიდუალური განვითარების დინამიკა. ასევე ყურადღება ექცევა სწავლების პროცესის ორგანიზებას, გამოყენებულ მეთოდებსა და გარემო პირობებს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასება იყოს კომპლექსური და ობიექტური. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებლი ანალიზის ფორმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

   როგორც უკვე აღინიშნა, ლიცეუმს შედგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და მხარდაჭერის მექანიზმები. შესაბამისად, სკოლა ქმნის მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტს, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრების ჩართულობას მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით კურიკულუმებში ცვლილებების შეტანას, რაც აღნიშნული დოკუმენტის სკოლის საჭიროებებზე მორგებას უზრუნველყოფს. ასევე, საგნობრივი კათედრებისა და ინდივიდუალური პედაგოგების მიერ ხორციელდება მიმდინარე კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება. ამ

რეფლექსიური პროცესის შედეგად ფორმირდება კურიკულუმის განვითარების სარეკომენდაციო პაკეტი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

   განახლებული კურიკულუმი მოდელირება წარმოადგენს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პროცესს. იგი სრულად ეყრდნობა გასული აკადემიური წლის პრაქტიკულ გამოცდილებასა და სკოლის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის მექანიზმების (მონიტორინგის) მეშვეობით მიღებულ შედეგებს. კურიკულუმის რევიზიისას დეტალურად ანალიზდება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების დინამიკა, კომპლექსური დავალებების განხორციელებისას გამოვლენილი გამოწვევები და სასკოლო საზოგადოებიდან მიღებული უკუკავშირი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სტრუქტურული ერთეულების შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 19.06.2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:






თ. ძაძაძლაშვილი